



მუზათა და გლეხთა მთავრობის

პანონია და განპარგულებათა პრეზიდი

სახალხო კომისართა საგაოცას და ეკონომიკის საგაოცას

საგაოცა მარტივობის გამოცემა

1930 წ. დეკემბერი 29.

№ 23

ნაზილი პირველი

ზ ი ნ ა რ ს 0:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს
დადგენილებანი.

319. საქორწინო, საოჯახო და სამეცნიერო კანონთა კოდექსის 92 მუხლის რედაქციის
შეცვლისა და მუხლისათვის დანართის დამატების შესახებ.

320. საქორწინო, საოჯახო და სამეცნიერო კანონთა კოდექსის 121 მუხლის შეცვლის
შესახებ.

321. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 333 მუხლისა და 334 მუხლის შენიშვნის შე-
ცვლისა და ამავე კოდექსის 339 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

322. სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-12 და 91¹ მუხლების რედაქციის შეცვლის
შესახებ.

323. სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსალებთა გადაუხდელობის წი-
ნააღმდეგ ბრძოლის, ლონისძიებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

324. სისხლის სამართლის კოდექსისათვის მე-20 მუხლის „ო“ პუნქტისა და 41¹ მუხ-
ლის დამატებისა და იმავე კოდექსის 118 მუხლის მეორე ნაწილისა და 134 მუხლის შეცვლის
შესახებ.

325. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 205¹ მუხლის დამატების შესახებ.

326. საგალიფებულო სამხედრო სამსახურის კანონის ახალი რედაქციის სამოქმედოდ შე-
მოღების გამო სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლების შეცვლისა და დამატების
შესახებ.

327. საქართველოს სსრ 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალი-
წინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარების თაობაზე გამოცემული დადგენილების I-ლი
კარის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

328. ფიზიულტურის კურსებზე მოსწავლე მუშა-მოსამსახურეთა მუშაობისაგან განთავი-
სუფლებისა და მათთვის საშუალო ხელფასის შენარჩუნების შესახებ.

329. ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება ფიზიკური კულტურის სარაიონ საბჭოების შესახებ.

330. უმაღლეს სასწავლებლებსა, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებსა, ტეხნიკუმებსა,
მუშათა ფაკულტეტებსა, და საქართველო-საფარიით სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის განმტკი-
ცებისათვის სპეციალ ღრმისმებითა შესახებ.

331. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშა-
ვეთა ხელფასის განაცვლების იმ ნაწილის შეცვლისათვის, რაც შრომისა და სოციალური უზ-
რუნველყოფის ინსტრუმენტის თანამდებობას შეეხება.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

332. შრომის სახალხო კომისარისატისათვის შეუწყვეტელი საწარმოო კვირის ჩატარების ხელმძღვანელობის და მეოფალურეობის დაკისრებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შეუწყვეტელ საწარმოო კვირაში՝ გადამყვანი რესტაციანური საუწყებათაშორისო კომისიის გაუქმების შესახებ.

333. სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიციელის და სა- ცალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

319. დადგენილება ც. ა. კ. და ს. ტ. ს.

საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსის 92 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამ მუხლისათვის დინართის დამატების შესახებ.

„სსრ კ-ის მოქალაქეთა სიკედილის შემდეგ საზღვარგარედ დარჩენილი ქონებისათვის მეურვეობის დანიშნის წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 13-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-18 №-ი, მუხ. 194) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ. კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

I

საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსის (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 56) 92 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„92. წესი მეურვეობის და მშრალებელობის დანიშნისა საქართველოს სსრ-ის იმ მოქალაქეთათვის, რომელნიც იმყოფებიან ან რომელთაც ქონება აქვთ სსრკ-ის ფარგლებს გარედ, განისაზღვრება ცალკე.“

II

დაემატოს აღნიშნულ კოდექსს 92 მუხლის დანართი შემდეგი შინაარსისა:

საქართველოს სსრ-ის მოქალაქეთა სიკედილის შემდეგ საზღვარგარედ დარჩენილი ქონებისათვის მეურვეობის დანიშნის წესის შესახებ.

1. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეის სიკედილის შემდეგ საზღვარგარედ დარჩენილი ქონებისათვის მეურვეობა შეიძლება დაინიშნოს დაინტერესებული

დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და პირის თხოვნით, უკეთუ, მომქმედი კანონის მიხედვით, ეს ქონება საჭიროებს დაცვას ან გამგებლობას.

2. იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს სსრკ-ის საკონსულო დაწესებულება, მეურვეობას განახორციელებს ეს დაწესებულება ან მის მიერ სპეციალურად დანიშნული მეურვე.

3. იმ ქვეყანაში, სადაც საკონსულო დაწესებულება არ არსებობს, მეურვეობას განახორციელებს მეურვე, რომელსაც დანიშნავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ან იმ ქალაქის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც რაიონში არ შედის—კუთვნილებისამებრ—იმ ადგილის მიხედვით, სადაც შეტანილია განცხადება მეურვეობის დანიშვნის შესახებ; მეურვე დაინიშნება როგორც სსრ-ის მოქალაქეთაგან.

4. ამა ფანართის წესით დანიშნულ მეურვეობაზე ვრცელდება კოდექსის მე-III კარით გათვალისწინებული სათანადო წესები“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 9.

ტფილის—სასახლე.

320. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 121 მუხლის
შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლ №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 121 მუხლი (კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 56) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 121. დაბადებისა, გარდაცვალებისა და შეცვლად იყვანის ჩაწერა სწარმოებს უსასყიდლოდ. გამოსაღებისაგან განთავისუფლებულია აგრეთვე თხო-

ენა აღნიშნული აქტების ჩაწერის შესახებ, განცხადება მამობის დამტკიცების შესახებ და თხოვნა ჩანაწერის მოწმობის მიცემის შესახებ.

დაქორწინებისა, განჯორწინებისა და სახელის თუ გვარის გამოცვლის აქტების რეგისტრაციისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთიანი სახელმწიფო ბაჟა სსრ კავშირის კანონმდებლობაში განსაზღვრული რაოდენობით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი-სასახლე.

321. დადგენილება ც. ა. პ. და ს. პ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 333 მუხლისა და 334 მუხლის შენიშვნის შეცვლისა და ამავე კოდექსის 339 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

„სააქციო საზოგადოებათა წესდების შეცვლის შესახებ“ გამოცემული საქადების ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 22-ის დადგენილებისა (სსრ კან. კრ. 1930 წ. 34 №-ი, მუხ. 369) და სააქციო საზოგადოებათა წესდების დამტკიცების წესის თაობაზე არსებული დადგენილების დამატებისა და შეცვლის შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 172) შესაბამისიად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის (საქ. სარ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) წესისამებრ--სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო იდგნენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

I. 333 მუხლი და 334 მუხლის შენიშვნა (კან. კრ. 1929 წ. მე-4 № ი, მუხ.

37) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„333. ისეთი სააქციო საზოგადოების წესდებას, რომლის გამეობაც, წესდების თანახმად, საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს, დამტკიცებს, 334 მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, საქართველოს სსრ-ის

ის სახალხო კომისარიატი, რომლის გამგებლობასაც ეხება საზოგადოების მოქმედების საგანი.

შენიშვნა. სააქციო საზოგადოების წესდების ის ნაწილი, რაც მის კაბიტალებს ეხება, დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით:

334. „**შენიშვნა.** უკეთუ დასაარსებელი სააქციო საზოგადოების მოქმედების საგანი ეხება რამდენიმე სახალხო კომისარიატის გამგებლობას (მუხ. 333), ეკონომიკური საბჭოს დადგენილებაში საზოგადოების დაარსების ნებადართვის შესახებ აღნიშნულ უნდა იქნეს, რომელ მათგანს ეკისრება წესდების დამტკიცება“.

II. 339 მუხლს (კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-ი, მუხ. 37) დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„**პუბლიკაცია** სახელმწიფო, შერეული და კოოპერატიული სააქციო საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ არ მოხდება. ასეთი საზოგადოებისათვის წესდების დამტკიცების თარიღი სათანადო შემთხვევაში (სააქციო საზოგადოებათა დებულების 22, 28 და 29 მუხ. — სსრკ კან. კრ. 1927 წ. 49 №-ი, მუხ. 500) წესდების დამტკიცების პუბლიკაციის თარიღის სამაგიეროა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი-სასახლე.

322. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-12 და 91¹ მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენინ:

სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-12 და 91¹ მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78 და 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 197) მიღებულ იქნეს შედეგი რედაქციით:

„12. სარეწაო საქრედიტო კოოპერატიული ორგანიზაციები ანაბარებს მიიღებენ ამა დებულების მე-111 კატეგიაში გათვალისწინებული წესების მიხედვით.

სარეწაო კომპერატიულ ორგანზაციას, რომელსაც საკრედიტო ფუნქციები არა აქვს, ანაბარის მიღება შეუძლიან იმ საფუძველზე, რაც დაწესებულია სსრ-ების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 6-ის დადგენილებით“ იმ სამომხმარებლო, სასოფლო სამეურნეო და სარეწაო კომპერატიული ორგანზაციების საანაბარო ოპერაციების შესახებ, რომელნიც მოქმედებენ არა თანახმად კომპერატიული კრედიტის დებულებისა.

ანაბარის ჭროცენტრების რაოდენობა განისაზღვრება ამა დებულების 91¹ მუხლის წესისამებრ; ამასთანავე, ეს საპროცენტო განაკვეთები არ უნდა აღმატებოდეს საკრედიტო კომპერატიული ორგანზაციების საანაბარო ოპერაციებისათვის დადგენილ განაკვეთებს, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება იყოს 12%—ზე მეტი წლიურად“.

„91¹. რესპუბლიკის კავშირი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დამტკიცებით, აწესებს საპროცენტო განაკვეთების რაოდენობას იმ ანაბარებისათვის, რასაც მიიღებენ ის სარეწაო კომპერატიული ორგანზაციები, რომელთაც საკრედიტო ფუნქციები არა აქვთ, ამა დებულების მე-12 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული წესების თანახმად“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდიგარი ს. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 6.
ტფილისი-სასახლე.

323. დადგენილება ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადაუხდელობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

I.

„სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადაუხდელობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად

1-ლი მუხლის შენიშვნა. „ისეთ პირად, რომელიც სახელმწიფო და
 ადგილობრივ გადასახადსა და გამოსახლებს ბოროტი განზოახვით არ იხ-
 დის, ჩაითვლება სათანადო სასამართლო ორგანოს მიერ საქართველოს სსრ
 სისხლის სამართლის კოდექსის 60 მუხლით გათვალისწინებული საზოგა-
 დოებრივად საშიში ქმედობისათვის მსჯავრდადებული პირი“.

მე-2 მუხლის შენიშვნა. „ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება
 იმ საკრედიტო და სხვა დაწესებულებაში ქონებულ ანაბარზე, რომლის
 დებულებითა და წესდებით გათვალისწინებულია სასამართლო წესი ანა-
 ბარის შეკრისა“.

მე-4 მუხლის შენიშვნა. „ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება
 დაწესებულებაში (საკრედიტო, კოოპერატიულ და დაწესებულებაში) ქო-
 ნებულ იმ ანაბარზე, რომელსაც შეეხება ანაბარების საიდუმლოდ შენახვის
 თაობაზე გამოცემული სპეციალური დადგენილებები“.

II.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 60 მუხლის პირველ ნა-
 წილში გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის საქმეებს განი-
 ხილავს სახალხო მოსამართლე ერთპიროვნულად სასამართლო ბრძანების წე-
 სისამებრ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 9.
 ტფილისი-სასახლე.

324. დადგენილება ც. პ. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის მე-20 მუხლის „ო“ პუნქტისა და 41¹ მუხლის დამატებისა და იმავე კოდექსის 118 მუხლის მეორე ნაწილისა და 134 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური ორგანიზაციული კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და /77 №-ის დადგნილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ— სრულიად საქართველოს ცენტრალური ორგანიზაციული კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს მე-20 მუხლის (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 122) „ო“ პუნქტი და 41¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„20. [სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიება არის]:

ო) მიყენებული ვნების გამოსწორების დაკისრება“.

„41¹. მიყენებული ვნების გამოსწორება დაკისრება მსჯავრდადებულს, უკეთ სასამართლო მიზანშეწონილად სცნობს, რომ თვით მსჯავრდადებულის მიერ აუკილებელ უნდა იქნეს სამართლის დარღვევის ან დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის შედეგი.

ხოლო სოციალური დაცვის ეს ღონისძიება არ შეიძლება უფრო მძიმე იყოს, ვიდრე განაჩენში გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118 მუხლის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 234) და 134 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„118 (მე-2 ნაწ.). კველა სხვა შემთხვევაში ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილობის გადამეტება, უმოქმედობა და სამსახურის მოვალეობის უგულვებელყოფა, უკეთ ეს მოქმედება არ შეიცავს ამა მუხლის 1-ლი ნაწილი და 114—117 მუხლებით გათვალისწინებულ ნიშნებს,—

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან თანამდებობიდან დათხოვნას მიყენებული ვნების გამოსწორების დაკისრებით ან უამისოდ“.

„134. უკაირათობა, რომელსაც საფუძვლით აქვს სახელმწიფო საზოგადოებრივი ან კონკრეტული დაწესებულებისა თუ საწარმოს და მისი ცალკე ნაწილის სათავეში მდგომა პირის ან რწმუნებულის დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი მოპყრობა მისთვის მინდობილი საქმისადმი, რასაც შედეგად მოჰყვება

დაწესებულებისა თუ საქართველოს ქონების გაფლანგვა ან აუნაზღაურებელი ზიანი, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე, ხოლო უკეთუ მიუყენებული ზიანი უმნიშვნელო — იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან თანამდებობიდან დათხოვნას მიუყენებული ვნების გამოსწორების დაკისრებით ან უამისოდ”.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი — სასახლე.

325. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 205¹ მუხლის დამატების შეხახებ.

ფასიანი ქაღალდებისა და ფულის სუროგატების სახმარებლად გამოშევების წესის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 3-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 32 №-ი, მუხ. 345) მუხლის თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ — სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენნ;

სისხლის სამართლის კოდექსის დამატოს 205¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„205¹. ფასიანი ქაღალდებისა და ფულის სუროგატების დამზადებისა და გამოშევებისათვის კანონით დადგენილი წესის დარღვევა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითს მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ათას მანეთამდე”.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი — სასახლე.

326. დადგენილება ც. ა. კ. და ს. პ. ს.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის ახალი რედაქციის სამოქმედოდ შემოღების გამო სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის ახალი რედაქციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური ომასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარათა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 13-ის დადგენილების (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 40 №-ი, მუხ. 423) VIII, IX და XI კარის თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური ომასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღის და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის შესისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური ომასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭო აღგნენ:

I. სისხლის სამართლის კოდექსის 58¹⁸ და 58¹⁹ მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„58¹⁸. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდება გამოიწვევს იძულებით მუშაობას ერთ წლამდე.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდება დამაბიმებელ გარემოებაში, კერძოდ, თავისი სხეულის დაზიანებით, ავალმყოფობის სიმულაციით, ყალბი დოკუმენტის გაკეთებით, თანამდებობის პირის მოსყიდვით და სხვ. ან რელიგიური რწმენის მომიზეზებით, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე“.

„58¹⁹. სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლებული პირისა და ზურგის ლაშქარში ჩარიცხული პირის მიერ ზურგისა და ფრონტის მომსახურეობისათვის მოწყობილ გუნდებში გაწვევისაგან თავის არიდება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა“.

II. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 67²⁰ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„67²¹. სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლებული პირისა და ზურგის ლაშქარში ჩარიცხული პირის მიერ მათვის დანიშნული საერთო-სასარგებლო მუშაობის შესრულებისაგან თავის არიდება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი პირთა ჯვეუფის მიერ, ურთიერთშორის წინასწარი შეთანხმებით, ხელისუფლების ორგანოსათვის მუშაობის შესრულების საქმეში აქტიური წინააღმდეგობის გაწევით—

61 მუხლის 3 ნაწილით გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას“.

III. სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) მე-10 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„10. ა) არაპატივსადები მიზეზით სამსახურში თავის დროზე გამოუცხადებლობა თანამდებობაზე დანიშნისა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის დროს და აგრეთვე წარვლინებიდან ან შვებულებიდან გამოიწვევს

პასუხისმგებლობას 7, 8 და 9 მუხლების საფუძველზე.

ბ) სამხედრო სამსახურისა და მოთადარიგის არაპატივსადები მიზეზით თავის დროზე გამოუცხადებლობა სასწავლო შეკრებაზე, მანევრებზე ან სხვა რამ სასწავლო მეცადინებობაზე და აგრეთვე საცდელი მობილიზაციისათვის დაწესებულ გაწვევაზე გამოიწვევს

პასუხისმგებლობას იმავე საფუძველზე“.

IV. სამხედრო დანაშაულთა დებულებას დაემატოს 10¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„10¹. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მობილიზაციით გაწვევისაგან და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ომიანობის დროის შედეგენილობის შესავსებად შემდგომი გაწვევისაგან თავის არიდება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, ხოლო თავმდგრამთა შედეგენილობის პირისათვის—არა ნაკლებ ორი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, განსაკუთრებით დამამტკმებელ გარემოებაში კი სოციალური დაცვის ღონისძიება იმუშავეს უმაღლეს ღონისძიებამდე—დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი—სასახლე.

327. დადგენილება ვ. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გა-
თვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის თაობაზე გამოცე-
მული დადგენილების 1-ლი კარის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს
სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექ-
სით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის შესახებ“ გამო-
ცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მარტის 11-ის
თარიღისა და 57 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. 11- №-ი,
მუხ. 106, 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 17) 1-ლი კარის მე-2 მუხლი შეიცვალოს და
მიღებულ იქნება შემდეგი რედაქციით:

„2. სახალხო მოსამართლე ერთპირონებად, სასამართლო ბრძანების წე-
სით, განიხილავს საქმეებს ისეთი ქმედობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია
სისხლის სამართლის კოდექსის 60 მუხლის 1 ნაწ., 64 და 65 მუხ., 68 მუხ. 3
ნაწ., 73 მუხ., 75 მუხ. 1 ნაწ., 90, 93, 102, 103¹, 112, 113 და 198 მუხ., 200
მუხ. 1 და 2 ნაწ., 202 მუხ. 1 ნაწ., 203—207 მუხ., 208 მუხ. 1 ნაწ. და
209—211 მუხლებში“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკარა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოლირია.

1930 წ. ნოემბრის 9.
ტფილისი—სასახლე.

ცენტრალური კლემასრულებელი პომილუტის დადგენილებანი

328. დადგენილება ც. ა. კ.

ფიზკულტურის კურსებზე მოსწავლე მუშა-მოსამსახურეთა მუშაობისაგან განთავისუფლებისა და მათთვის საშუალო ხელფასის შენარჩუნების შესახებ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: ის მუშა-მოსამსახურენი, რომელიც სათანადო ორგანოების განკარგულებით გაიგზავნებიან ფიზკულტურის კურსებზე სასწავლაზე 1930 წლის ოქტომბრის 20-დან 1931 წლის იანვრის 20-მდე განთავისუფლებულ იქნენ საშარომოსა და დაწესებულებაში მუშაობისაგან აღნაშენული დროის განმავლობაში და ამავე დროს განმავლობაში მათ შეენახოთ მათი ადგილი და საშუალო სამუშაო ხელფასი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. ოქტომბრის 4.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 238 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 11.

329. დადგენილება ც. ა. კ.

ფიზკულტური კულტურის სარაიონო საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ იქნეს დებულება ფიზკულტური კულტურის სარაიონო საბჭოების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. ოქტომბრის 24.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭობების შესახებ.

1. უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ (პროფესიონალი, კომერციი, კომპერაცია, თავისუფალი საზოგადოება და სხვ.) რაიონის ტერი-ტორიაზე წარმოებული საფიზიკულტურო მუშაობის სფეროში სახელმწიფო ცენ-ტრალიზებული ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის და ამ მუშაობის გა-ერთიანებისა, დაგეგმვისა და კონტროლისათვის —სარაიონო აღმასრულებელ კო-მიტეტებთან მოეწყობა ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭოები.

ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭო ხელმძღვანელობას გაუწევს მთელს საფიზიკულტურო მუშაობას იმ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ამოცანების მიხედვით, რაც მის წინაშე სოციალისტური მშენებლობისა და საბ-ჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განვითარების სფეროში სდგას.

ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭოს ამოცანები.

2. ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) განახორციელოს რაიონის ფარგლებში ფიზიკულტურის ზემდგომი საბ-ჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ცველა დადგენილება ფიზ-კულტურის შესახებ, ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს ცველა უწყები-სა და ორგანიზაციის (ჯანმრთელობის განყოფილება, განათლების განყოფილე-ბა, კოლეჯურნებობათა კავშირი, სამხედრო უწყება, კომერციი, პროფესიონალი, კომპერაცია და სხვ.) საორგანიზაციო-პოლიტიკურ, სასწავლო-სამეთოდო და სასპორტო-სატენიკო მოქმედებას ფიზიკულტურის სფეროში; ურუნველქყოს აღ-ნიშნული ორგანიზაციებისა და ფართო მასების მაქსიმალური მონაწილეობა ფიზიკულტურის საბჭოს მუშაობაში;

ბ) ხელი შეუწყოს ფიზიკური მომშადების განხორციელებას წვევამდელთა შორის და ცვალებად შედგენილობაში, აგრეთვე არმიისა და ფლოტის ნაწილე-ბის ჩაბმას ფიზიკულტურის სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობაში გამხედ-როების ხაზით;

გ) შეიძუშოს და დაამტკიცოს ცველა პროგრამა და კალენდარი ფიზიკულ-ტურის სარაიონო და სარაიონოთაშორისო დღესასწაულების ორგანიზაციისა და ჩატარებას, საფიზიკულტურო გამოსვლებისა, შეჯიბრებისა, გამოვენებისა და ლაშერობის, რაც მიმართული იქნება იმისათვის, რომ ფიზიკულტურის ორგანი-ზაციებმა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ პოლიტიკურ (ცხოვრებაში და პარტიულ საბჭოთა, პროფესიონალი, კულტურულ-სა-მეურნეო ლონისძიებათა განხორციელებაში);

დ) განიხილოს და დაამტკიცოს უწყებებისა და ორგანიზაციების წასაფიზ-კულტურო მუშაობის გეგმები;

ე) პრიორულათ მოწვიოს ხოლმე თაობირები და კონფერენციები ფიზი-კულტურის საკითხების შესახებ;

ვ) მოაწყოს მოკლე ვადიანი კურსები და სემინარიები ფიზკულტურის წრებისა, სკოლებისა და მოედნების მომუშავეთა კვალიფიკაციის სამაღლებლათ, მათ მოსამზადებლათ და გადასამზადებლათ; დახმარება გაუწიოს ამ მუშაობაში უწყებებსა და ორგანიზაციებს; ხელი შეუწყოს დაუსწრებელი განათლების საქმეს ფიზკულტურის დარგში; შეარჩიოს საფიზკულტურო სასწავლებლებში შემსვლელნი და რეკომენდაცია მისცეს მათ;

ზ) კონტროლი გაუწიოს რაიონში წარმოებულ საფიზკულტურო ნაგებობათა მშენებლობას ყველა უწყებისა და ორგანიზაციის ხაზით;

აღნუსხოს, გაანაწილოს და შეამოწმოს რაიონის ტერიტორიაზე მომუშავე ინსტრუქტორთა მუშაობა და აგრეთვე აღნუსხოს ფიზიკური კულტურის აქტივი;

ი) მონაცილეობა მიიღოს სოციალისტური კულტურის სახელობის საფიზკულტურო მუშაობაში;

კ) აწარმოოს სააგიტაციო-საპროპაგანდო და ინტერნაციონალური მუშაობა; ხელი შეუწყოს საფიზკულტურო ბეჭდითი სიტყვის გაერცელებას. მონაცილეობა მიიღოს ადგილობრივ ბეჭდითი სიტყვის ორგანოებში და აგრეთვე შექმნას ფიზკულტურის კორესპონდენტთა ქსელი;

ლ) მოაწყოს სარაიონო დღესასწაულები, შეჯიბრები, გამოფენები და სხვა.

ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭოს უფლებანი.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლათ ფიზკულტურის სარაიონო საბჭოს უფლება ეძლევა:

ა) გამოიყელიოს ყველა უწყებისა და ორგანიზაციების მოქმედება საფიზკულტურო წრების მუშაობის სფეროში და აგრეთვე ინსტრუქტირება გაუწიოს მათ;

ბ) მოისმინოს ზოლმე უწყებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეული საფიზკულტურო წრების პერიოდული მოხსენებანი საფიზკულტურო მუშაობის შესახებ და აგრეთვე დაამტკიცოს უწყებებისა და ორგანიზაციების მუშაობის გეგმები;

გ) გასწიოს კონტროლი, რათა ყველა უწყებამ და ორგანიზაციამ და აგრეთვე საფიზკულტურო წრებმა შეასრულონ ზემდგომი საფიზკულტურო ორგანიზაციების დირექტორები; თვალყური ადევნოს აღნუსხვის წარმოების საქმეს;

დ) შეიტანოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში პროექტი სავალდებულო დადგენილებისა რაიონში წარმოებულ საფიზკულტურო მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

4. ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა უწყებისა და ორგანიზაციისათვის, რომელიც უწყებულ რაიონში საფიზკულტურო მუშაობის აწარმოებს.

ფიზკულტურის სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში და აგრეთვე ფიზკულტურის რესპუბლიკანურ საბჭოში.

ფიზიკური კულტურის სარაიონო საბჭოს პლენურის შედგენილობა.

5. ფიზიკულტურის სარაიონო საბჭოს შედგენილობაში, რომელიც შესდგება რიცხვით 17 კაციდან 35 კაცამდე, შედიან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, თავისი შეხედულებისამებრ, პერსონალურათ დანიშნული პირი და წარმომადგენელნი:

- ა) ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა;
- ბ) პროფესიონალური კავშირებისა;
- გ) სამხედრო უწყებისა;
- დ) სახალხო განათლების განყოფილებისა;
- ე) ჯანმრთელობის განყოფილებისა;
- ვ) აღმინისტრატიული განყოფილებისა (კომუნალურ მეურნეობის ხაზით);
- ზ) საზოგადოება „დინამიკ“-სი;
- თ) თაედაცვა ავიოქიმის საზოგადოებისა;
- ი) კომპერაციისა;
- კ) ფიზიკური კულტურის წრეებისა;
- ლ) წყალში დაღუპებისაგან გადარჩენის საზოგადოებისა;
- მ) კოლეგურნეობათა კავშირისა;
- ნ) სარეწაო კოოპერაციისა;
- ო) შრომის დაცვის განყოფილებისა და სხვა.

6. ფიზიკულტურის სარაიონო საბჭოს პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს სარაიონო აღმასკომის პრეზიდიუმი; ამასთანავე ფიზიკულტურის სარაიონო საბჭოს შედგენილობას არა ნაკლებ 70% უნდა იყვნენ მუშები და მშრომელი გლეხები (ფიზიკულტურის სარაიონო საბჭოს შედგენილობის 50% , შევსებულ უნდა იქმნეს პროფესიონალური გლეხების წრეებისა და საფიზიკულტურო ორგანოების წარმომადგენლებისაგან).

7. მიმღინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ფიზიკულტურის სარაიონო საბჭო აირჩივს პრეზიდიუმს 5-დან 9 კაცამდე, რომელსაც აგრეთვე დაამტკიცებს სარაიონო აღმასკომის პრეზიდიუმი.

8. სარაიონო საბჭოს პლენური შეიკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

9. სარაიონო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი არჩეულ უნდა იქმნენ ფიზიკულტურის სარაიონო საბჭოს პლენურმზე პრეზიდიუმის წევრთა რიცხვიდან.

10. სარაიონო საბჭოსთან შეიძლება მოეწყოს მუშაობისა და დროებითი კომისიები.

11. შტატებს განსაზღვრავენ სათანადო ორგანოები არსებული წესისამებრ.

12. ფიზიკულტურის სარაიონო საბჭოს მომსახურეობას გაუწევს სარაიონო აღმასკომის ტენიციური აპარატი.

13. ფიზიკულტურის სარაიონო საბჭოს ხარჯთაღრიცხვა შეიტანება სათანადო აღმასკომის ხარჯთაღრიცხვაში — სოციალურ-კულტურული ხარჯების კარში.

14. ფიზიკულტურის სარაიონო საბჭო სარგებლობს სარაიონო აღმასკომის შტატებსა და ბეჭედს.

330. დადგენილება ც. ა. კ.

უმაღლეს სასწავლებლებსა, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებსა, ტეხნიკუმებსა, მუშათა ფაკულტეტებსა და საქართველო-საფანრიკო სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ როგორც ცენტრალური ორგანოები, ისე უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების აღმინისტრაცია ძალიან სუსტათ ასრულებენ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, საკავშირო კომიტენტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის და ამიერკავკასიის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და დირექტივებს პროლეტარულ სტუდენტობის და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების საქმეში, რის გამოც სასწავლებლების საერთო განმანათლებელი მუშაობის სისტემაში ფიზიკურ-კულტურის ჯერ კიდევ ვერ დაუშერია სათანადო ადგილი და ვერ მოუპოვებია. შესაფერისი ხვედრითი წონა სხვა სავანთა შორის.

ამასთანავე, უმაღლესი სასწავლებლების გამხედროებასთან დაკავშირებით, სადაც ფიზიკურ კულტურას საპატიო ადგილი უნდა ექიროს, შემჩნეულია, უმაღლესი ორგანოების მრავალი გათრთხილების მიუხედავათ, — პარალელიში და მუშაობის შეუთანხმებლობა.

ზემოაღნიშნულის გამო და ამ საგანზე წინათ მიღებულ დადგენილებათა განსავითარებლათ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს და განათლების სახალხო კომისარიატს გააძლიერონ უმაღლეს სასწავლებლებისა, უზალესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმებისათვის გაწევა ფიზიკულტურის სფეროში, რისთვისაც განათლების სახალხო კომისარიატთან უნდა მოეწყოს სასწავლებლების კომისია.

2. წინადადება მიეცეს განათლების, ჯანმრთელობის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმოლოდს საბჭოს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ცეკვის და საზოგადოება „საქართველოს ჩია“-ს იხმარონ გადაწყვეტი ღონისძიება ფიზიკულტურის დარგის ხარჯთაღრიცხვების გადიდებისათვის ისე, რომ უზრუნველყოფილ იქმნეს საფიზიკულტურო მუშაობის ნორმალური მსვლელობა.

3. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს მიმღინარე სასწავლო წლიდანვე მოაწყოს სამხედრო-საფიზიკულტურო საგნობრივი კომისიები ყველა იმ უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში, სადაც ასეთი კომისიები წინათ დაარსებული არ ყოფილა.

4. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და აგრეთვე კველა იმ სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოს, რომლის გამგებლობაშია უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების ნაწილი გადავიდა (ჯანმრთელო-

ბის, მიწათმოქმედების და ვაჭრობის სახ. კომისარიატები, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ცეკვიშირი, საქართველოს ჩია და სხვ.); დაავისრონ უმაღლეს სასწავლებლების დირექტორებს პასუხისმგებლობა ფიზკულტურის საქმის დაყენებისათვის; ამასთანავე სამხედრო ხელმძღვანელებიც არ უნდა იქმნონ განთავისუფლებული პასუხისმგებლობისაგან საფიზკულტურო მუშაობის ხარისხისათვის.

5. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სამეთოდო, საპროგრამო და სასპორტო სატენიკო საკითხების შესწავლას და დამზადებას.

6. საათების არსებული რაოდენობის შემცირება, ამ საათების სასწავლო გაშებიდან გამორიცხავი და მათი სკულპტო მეცადინებობაში გადატანა უნდა ჩაითვალოს როგორც სრული არ გაგება და უყურადღებობა საკითხირო კომისარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტინ დირექტივებისადმი ფიზკულტურაში კველა ფენების მაქსიმალურათ ჩაბმის შესახებ და აგრეთვე ფიზკულტურის სავალდებულო საგნათ საქმაო მასშტაბით შემოღების შესახებ; თანაც ეს გარემოება კვალიფიცირებულ უნდა იქმნეს როგორც შეუფასებლობა ხელმძღვანელი, ორგანოების გადაწყვეტილებათა პოლიტიკური მნიშვნელობისა, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა მოზარდი ორგანიზების ძალონის დაზიანებას მათი გაძლიერებული გონიერივი და საწარმოო დატვირთვის დროს. მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება კადრების განყოფილების დაუშვებელ თვითნებობას საქართველო-საფაშირიკო სასწავლებლების საფიზკულტურო საათების შემცირების საქმეში და აგრეთვე მიეცეს ჯანმრთელობისა და განათლების სახალხო კომისარიატების ყურადღება იმ გარებობებას, რომ დაუშვებელი დაყოფნებით ხორციელდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ტის 5 ს დადგნილება სამედიცინო და პედაგოგიურ ფაკულტეტებზე უიზეულ-1930 წლის მარტურის კათედრების შემოღების შესახებ სათანადო ასისტენტურითა და ასპირანტურითა.

7. წინადადება მიეცეს განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს უზრუნველყონ, რათა ყველა სდუდენტმა აუცილებლათ გაიაროს მეცადინეობა ფიზკულტურის დარგში სამედიცინო მეთვალყურეობით, რისთვისაც გადიდებულ უნდა იქმნეს იმ ექიმთა რიცხვი, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებს მომასხურეობას უწევენ.

8. რაღაცნაც საფიზკულტურო მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში უნდა სწარმოებდეს არა მარტო სავალდებულო საფიზკულტურო აღზრდის ორგანიზაციის ხაზით (სრ. საქავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. კ-ტის საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე), არამედ ნებაყოფლობით სკოლის გარეშე მუშაობის ფორმითაც, — წინადადება მიეცეს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს, განათლების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს პროფესიონალთა საბჭოსთან ერთად, შეიმუშაოს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში საფიზკულტურო მუშაობის განვითარების კონკრეტული გეგმა

და განსაზღვროს,—პარალელიზმისა და მუშაობის შეუთანხმებლობის თავიდან ასაცილებლათ,—უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო ნაწილებისა და პროფ-კავშირების საფინანსულტურო შენაერთების ხელმძღვანელობის ურთიერთი დამოკიდებულება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. ოქტომბრის 24.

ტფილისი—სასახლე.

331. დადგენილება ც. ა. კ.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა ხელფასის განაკვეთების იმ ნაწილის შეცვლისათვის, რაც შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორის თანამდებობას შეეხება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ა/წ. სექტემბრის 19-ის დადგენილებით დამტკიცებული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა ხელფასის განაკვეთების შესაცვლელად — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღვენს:

შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორის თანამდებობა გამოყოფილ იქნეს სოციალურ-კულტურული განყოფილების შედგენილობიდან და იგი უშუალოდ დაუქვემდებაროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს; თანაც დაწესებულ იქნეს ამ თანამდებობისათვის სამუშაო ხელფასის შემდეგი განაკვეთები:

I კატეგორიის რაიონებში	125 მან.
II კატეგორიის რაიონებში	140 "
III კატეგორიის რაიონებში	170 "

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 4.

ტფილისი—სასახლე.

სახალხო პომისართა საბჭოს დადგენილებანი

332. დადგენილება ს. კ. ს.

შრომის სახალხო კომისარიატისათვის შეუწყვეტელი საწარმოო კვირის ჩატარების ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის დაქისრებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადამყვანი რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო კომისიის გაუქმების შესახებ.

„საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავრობის კომისიის გაუქმების შესახებ“ გამოცემული ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 18-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1930 წ. 293 №-ი) შესაბამისად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

1. ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეუწყვეტელი საწარმოო კვირის შემდგომი განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს.

2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადამყვანი რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო კომისია და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 23-ის დადგენილებით (კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 229) დამტკიცებული დებულება ამ კომისიის შესახებ გაუქმდებულ იქნება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1930 წ. ნოემბრის 15.
ტფილისი — სასახლე.

333. დადგენილება ს. კ. ს.

სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და კომპერაციის სააღმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შესახებ“ გამოცემული ა/ქსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 8-ის დადგენილების (“ზარია ვასტოკა”-ს 281 №-ი, 1930 წ. ოქტომბრის 17-ისა) მე-4 მუხლის თანახმად,—რათა გადაქრით შემცირებულ იქნეს ზემოაღნიშნული ორგანოების სააღმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები 1930 წ. ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალში და 1931 წლის,—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო:

„სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და კომპერაციის სააღმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული ა/ქსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 8-ის დადგენილების (“ზარია ვასტოკა”-ს 281 №-ი, 1930 წ. ოქტომბრის 17-ისა) მე-4 მუხლის თანახმად,—რათა გადაქრით შემცირებულ იქნეს ზემოაღნიშნული ორგანოების სააღმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები 1930 წ. ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალში და 1931 წლის,—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო აღდგნა:

1. სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი ოქტომბრიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოების 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალისა და 1931 წლის სააღმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის შედგენილი შტატების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება დაეკისროს საქართველოს სსრ-ის იმ სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც ეს სახელმწიფო ორგანოებია.

სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედ, ადგილობრივი მნიშვნელობის და დაწესებულებათა და საწარმოთა სააღმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის შედგენილ შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებენ აღმისრულებელი კომისარების ის განყოფილებანი, რომელთა გამგებლობაშიაც აღნიშნული დაწესებულებანი და საწარმონი არიან.

2. ოქტომბრიკანური კომპერატიული ცენტრებისა და ადგილობრივი კომპერატიული ორგანიზაციების სააღმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის შედგენილ შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებენ ამ ცენტრებისა და ორგანიზაციების გამგებლობანი საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

3. მიენდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) თვალყური ადვინონ, რათა ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შტატების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების დროს მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს სააღმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები;

ბ) შეამოწმონ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა, აღმასრულებელი კომისარების განყოფილებებისა, აგრეთვე ოქტომბრიკანური და ადგილობრივი კომპერატიული ორგანიზაციების მუშაობა 1930 წლის ოქტომბერ-

დეკემბრის კვარტალისა და 1931 წლის სააღმინისტროციო საგამგებლო ხარჯების შემცირებისათვის;

გ) წარმოადგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1931 წლის იანვრის 15-სათვის მოხსენება შემოწმების შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1930 წ. ნოემბრის 15.

ტფილისი—სასახლე.